



საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება

ქ. თბილისი



MOD 7 14 00000666

20/05/2014

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმის ტანსაცმლის საუკეთესო ესკიზის
ნიმუშის შემუშავებისა და გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარების თაობაზე

სამოქალაქო კოდექსის 758-762-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297
დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის
მე-3 პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს კონკურსი საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმის ტანსაცმლის
ესკიზის ნიმუშის შემუშავებისა და გამოვლენის მიზნით.
2. კონკურსის შესახებ ინფორმაცია გავრცელდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
ოფიციალური ვებგვერდის (www.mod.gov.ge) და facebook-ის გვერდის
(www.facebook.com/mod.gov.ge) მეშვეობით .
3. დამტკიცდეს „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმის ტანსაცმლის საუკეთესო
ესკიზის ნიმუშის შემუშავებისა და გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარების თაობაზე“ დებულება
(დანართი №1).
4. სამხედრო ფორმის ტანსაცმლის საუკეთესო ნიმუშის გამოვლენა მოახდინოს საქართველოს
შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმის ტანსაცმლის საუკეთესო ესკიზის ნიმუშის შერჩევის
კომისიამ.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმის ტანსაცმლის საუკეთესო ესკიზის ნიმუშის შემუშავებისა და გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარების თაობაზე დებულება

მუხლი 1

კონკურსის მიზანია სარიტუალო და სამხედრო ფორმის ტანსაცმლის საუკეთესო ესკიზის ნიმუშის გამოვლენა ამ დებულების მე-10, მე-11 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 2

1. კონკურსის ორგანიზაციულ ეტაპებად (შემდგომში - ეტაპი) განისაზღვროს:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდეგში - სამინისტრო) ოფიციალური ვებგვერდის (www.mod.gov.ge) და facebook-ის გვერდის (www.facebook.com/mod.gov.ge) მეშვეობით საზოგადოების ინფორმირება კონკურსის თაობაზე - 2014 წლის 15 მაისიდან 2014 წლის 30 მაისის ჩათვლით;

ბ) საკონკურსო განცხადებების მიღება - 2014 წლის 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით;

გ) საკონკურსო ნამუშევრების საზოგადოებისათვის წარდგენა/გამოფენა - 2014 წლის 17 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით;

დ) სამხედრო ფორმის ტანსაცმლის საუკეთესო ესკიზის ნიმუშის შერჩევა - 2014 წლის 5 ნოემბრიდან 2014 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით;

ე) საზოგადოების ინფორმირება - 2014 წლის 23 ნოემბერს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის:

ა) "ა", "გ" და "ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ეტაპებს ორგანიზაციულად უზრუნველყოფს სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტი;

ბ) "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ეტაპს ორგანიზაციულად უზრუნველყოფს სამინისტროს ადმინისტრაციის საქმისწარმოების დეპარტამენტი;

გ) "დ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ეტაპს წარმართავს „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმის ტანსაცმლის საუკეთესო ესკიზის ნიმუშის შერჩევის კომისია“, რომლის შემადგენლობა საქართველოს თავდაცვის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება 2014 წლის 4 ნოემბერს.

მუხლი 3

საზოგადოების ინფორმირების მიზნით:

ა) 2014 წლის 3 ივნისს 13.00 საათზე გაიმართება ღია კარის დღე (მისამართი, თბილისი, გ. კვინიტაძის 20, (სამინისტროს შემეცნებით საგანმანათლებლო ცენტრი). ღია კარის დღეზე დაინტერესებული პირები მიიღებენ განმარტებებს კონკურსთან დაკავშირებულ მათთვის საინტერესო საკითხებზე;

ბ) მასმედის საშუალებებში და სოციალურ ქსელებში განთავსდება სარეკლამო განცხადებები კონკურსის თაობაზე.

მუხლი 4.

1. საკონკურსო განცხადებების მიღება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 0112, ქ. თბილისი, გ. კვინიტაძის №20.

2. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს (შემდგომში - კონკურსანტი).

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა უნდა წარადგინოს №2 დანართით განსაზღვრული განცხადება (შემდგომში - განცხადება) და მასზე თანდართული 2 ცალი A2 ზომის დალუქული (კონვერტი №1 და კონვერტი №2).

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ:

ა) №1 კონვერტში უნდა განთავსდეს ამ დებულების მე-10 და მე-11 მუხლების დაცვით შესრულებული ყველა სახეობის სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ესკიზის ნიმუში და კომპაქტურ დისკზე (CD/DVD) ჩანერილი მათი ელექტრონული ვერსია;

ბ) №2 კონვერტში უნდა განთავსდეს №1 კონვერტში განთავსებული ყველა სახეობის სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ესკიზის ნიმუშის ფერადი ასლი.

შენიშვნა: კონვერტებზე და მათში მოთავსებულ სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ესკიზის ნიმუშზე და კომპაქტურ დისკზე (CD/DVD) არ უნდა იყოს ასახული კონკურსანტის მაიდენტიფიცირებელი რაიმე ინფორმაცია.

5. საკონკურსო განცხადებების მიღების ეტაპის განმავლობაში კონვერტები არ ექვემდებარება გახსნას.

6. განცხადების რეგისტრაციისას კონვერტებზე აისახება განცხადების რეგისტრაციის ნომერი და თარიღი.

7. სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტს გადაეცემა მხოლოდ კონვერტი №1, ხოლო განცხადება და კონვერტი №2 ინახება საქმისწარმოების დეპარტამენტში.

8. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთზე მეტი საკონკურსო განცხადება, ასეთ შემთხვევაში თითოეული განცხადება დარეგისტრირდება და განიხილება დამოუკიდებლად.

მუხლი 5.

1. საკონკურსო ნამუშევრის (ამ დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტში განსაზღვრულ №1 კონვერტში განთავსებული ყველა სახეობის სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ესკიზის ნიმუში) საზოგადოებისათვის წარდგენის მიზნით:

ა) საკონკურსო ნამუშევრები გამოიფინება ქ. თბილისში მდებარე ერთ-ერთ საგამოფენო სივრცეში;

ბ) საკონკურსო ნამუშევრები აიტვირთება სამინისტროს ოფიციალურ facebook-ის გვერდზე (www.facebook.com/mod.gov.ge).

2. საკონკურსო ნამუშევრები საზოგადოებას წარედგინება:

ა) იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტის მიერ შესრულებულია ამ დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობები;

ბ) დაშიფრული (რომ ვერ მოხდეს კონკურსანტის სახელის და გვარის იდენტიფიცირება) სახით.

3. საკონკურსო ნამუშევრების დაშიფრვის მიზნით, №1 კონვერტის გახსნისას მასში არსებულ ყველა სახის სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ესკიზის ნიმუშზე უნდა მიეთითოს ამ კონვერტზე არსებული განცხადების რეგისტრაციის ნომერი, თარიღი და ესკიზის ნიმუშის რიგითი ნომერი (შემდეგში - შიფრი) (მაგალითად, 00000011 (რეგისტრაციის ნომერი) /, 01.01.2014 (რეგისტრაციის თარიღი) / 01. შიფრის ნიმუში 00000011/01.01.2014/01)

4. საზოგადოების მიერ საკონკურსო ნამუშევრების შეფასება მოხდება დანართ №3-ში მითითებული ფორმის და facebook-ში ე.წ “like”-ების საშუალებით.

5. საზოგადოების შეფასება (შეტამებული სახით) გადაეცემა კომისიას.

მუხლი 6.

1. კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს 11 წევრის შემადგენლობით (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე) რომელიც მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. კომისიის მდივნის ფუნქციას ახორციელებს სამინისტროს ადმინისტრაციის საქმისწარმოების დეპარტამენტის წარმომადგენელი.

3. კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილე.

4. კომისია უფლებამოსილია, თუ კომისიის სხდომას ესწრება 9 წევრი მაინც, მათ შორის კომისიის თავმჯდომარე. კომისიის გადანყვეტილება მიიღება სახელობითი კენჭისყრით, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, ხოლო გადანყვეტილება საუკეთესო ესკიზის ნიმუშის (კომპლექტის) გამოვლენის შესახებ - ამ მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად.

5. კომისიის სხდომების მიმდინარეობა ფორმდება სხდომის ოქმით.

6. კომისიის სხდომები გაიმართება ე. თბილისში, გ. კვინიტაძის 20-ში (სამინისტროს შემეცნებით-საგანმანათლებლო ცენტრი). კომისიის პირველი სხდომა გაიმართება 2014 წლის 5 ნოემბერს 11.00 საათზე.

7. კომისიას პირველ სხდომაზე:

ა) სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის მიერ წარედგინება ყველა კონკურსანტის საკონკურსო ნამუშევარი და მათ შესახებ არსებული საზოგადოების შეფასება;

ბ) საქმისწარმოების დეპარტამენტის მიერ წარედგინება ამ დეპარტამენტში დაცული განცხადებაზე თანდართული დალუქული კონვერტი №2.

8. კომისიის სხდომის დღის წესრიგს და ჩატარების თარიღს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე ან კომისია.

9. კომისიის წევრების შეფასების ფორმა განისაზღვრება №4 დანართით.

10. კომისია დამოუკიდებლად აფასებს ერთი კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ:

ა) სარიტუალო სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ესკიზის ნიმუშების კომპლექტს (კომპლექტი №1);

ბ) სამხედრო ფორმის ტანსაცმლის სხვა სახეობების ესკიზების ნიმუშების კომპლექტს (კომპლექტი №2).

11. საუკეთესო №1 ან/და №2 კომპლექტად ჩაითვლება, რომელიც დააგროვებს ყველაზე მეტ ქულას (კომისიის ყველა წევრის შეფასების შეჯამების გათვალისწინებით).
12. საუკეთესო №1 და №2 კომპლექტის გამოვლენის შემდეგ:
 - ა) საქმისწარმოების დეპარტამენტი კომისიას წარუდგენს შესაბამისი კონკურსანტის სახელს, გვარს და სხვა მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას;
 - ბ) კომისია მინისტრს წარუდგენს კომისიის საქმიანობის შედეგებს.

მუხლი 7.

1. საკონკურსო-საპრიზო თანხის საერთო ოდენობად განისაზღვრება 20 000 (ოცი ათასი) ლარი.
2. ორი გამარჯვებულის შემთხვევაში:
 - ა) საუკეთესო №1 კომპლექტის წარმომდგენ კონკურსანტს გადაეცემა საკონკურსო პრიზი - 5 000 ლარი;
 - ბ) საუკეთესო №2 კომპლექტის წარმომდგენ კონკურსანტს გადაეცემა საკონკურსო პრიზი - 15 000 ლარი.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ კონკურსანტებთან საკონკურსო პრიზის გადაცემამდე ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება:
 - ა) საკონკურსო ნაშრომზე კონკურსანტის საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების სახელმწიფოზე გადაცემის საკითხები;
 - ბ) საავტორო ზედამხედველობის უზრუნველყოფის (დეტალური ტექნიკური ნახაზების შემუშავებაზე ზედამხედველობა, სატესტო ნიმუშების შეკერვაზე ზედამხედველობა, თარგების დამზადებაზე ზედამხედველობა) საკითხები.

მუხლი 8.

კონკურსის შედეგად გამოვლენილი სამხედრო ფორმის ტანსაცმლის საუკეთესო ესკიზის ნიმუში (კომპლექტი №1, №2) განთავსდება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.mod.gov.ge) და facebook-ის გვერდზე (www.facebook.com/mod.gov.ge).

მუხლი 9.

გამარჯვებული საკონკურსო ესკიზის ნიმუში კონკურსანტს არ უბრუნდება.

მუხლი 10.

1. საკონკურსოდ წარმოდგენილ უნდა იქნეს სამხედრო ფორმის ტანსაცმელი:
 - ა) სახმელეთო, ავიაციის და საზღვაო შემადგენლობის უმაღლესი ოფიცერისათვის: სადღესასწაულო; სააღლუმე-გამოსასვლელი; ყოველდღიური სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ესკიზის ნიმუშები (კომპლექტაცია), ზატხულის, ზამთრის, საგაზაფხულო-საშემოდგომო სეზონისათვის, როგორც ქალების ასევე მამაკაცებისათვის);

- ა.ა) პიჯაკი;
- ა.ბ) შარვალი (ქალებისთვის დამატებით ქვედაბოლო);
- ა.გ) ქამარი ლითონის შესაკრავით;
- ა.დ) პერანგი გრძელ სახელოებიანი;
- ა.ე) პერანგი მოკლე სახელოებიანი
- ა.ვ) ქუდი წინათრიანი ;
- ა.ზ) ბერეტი;
- ა.თ) ჰალსტუხი;
- ა.ი) მაისური მოკლე და გრძელ სახელოებიანი.

ზამთრისა და საგაზაფხულო-საშემოდგომო სეზონისათვის წარმოდგენილ უნდა იქნეს დამატებით:

- ა) ლაბადა;
- ბ) მანტო;
- გ) პულოვერი კუთხოვანი ყელით.

ბ) სახმელეთო, ავიაციის და საზღვაო შემადგენლობის სხვა დანარჩენი სამხედრო მოსამსახურეებისათვის: სადღესასწაულო; სააღლუმე-გამოსასვლელი; ყოველდღიური სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ესკიზის ნიმუშები (კომპლექტაცია), ზაფხულის, ზამთრის, საგაზაფხულო-საშემოდგომო სეზონისათვის, როგორც ქალების ასევე მამაკაცებისათვის):

- ბ.ა) პიჯაკი;
- ბ.ბ) შარვალი (ქალებისთვის დამატებით ქვედაბოლო);
- ბ.გ) ქამარი ლითონის შესაკრავით;
- ბ.გ) პერანგი გრძელ სახელოებიანი;
- ბ.დ) პერანგი მოკლე სახელოებიანი
- ბ.ე) ქუდი წინათრიანი ;
- ბ.ვ) ბერეტი;
- ბ.ზ) ჰალსტუხი;
- ბ.თ) მაისური მოკლე და გრძელ სახელოებიანი.

ზამთრისა და საგაზაფხულო-საშემოდგომო სეზონისათვის წარმოდგენილ უნდა იქნეს დამატებით:

- ა) ლაბადა;
- ბ) მანტო;
- გ) პულოვერი კუთხოვანი ყელით.

გ) საველე ფორმის ტანსაცმელი (ყველა წოდების სამხედრო მოსამსახურისათვის ერთნაირი).

ფორმის კომპლექტაცია:

- გ.ა) ფარაჯა გრძელსახელოებიანი –კომუფლირებული;

- გ.ბ) მაისური მოკლესახელოებიანი - კომუფლირებული;
- გ.გ) შარვალი - კომუფლირებული;
- გ.დ) წყალგაუმტარი ქურთუკი (გამოსაკრავით) - კომუფლირებული;
- გ.ე) კეპი - კომუფლირებული;
- გ.ვ) პანამა კომუფლირებული.

დ) სარიტუალო ფორმის ტანსაცმლის ზაფხული, ზამთრის, საგაზაფხულო-საშემოდგომო კომპლექტაცია (მხოლოდ მამაკაცებისათვის).

მუხლი 11.

1. ამ დებულების მე-10 მუხლით განსაზღვრული სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ესკიზის ნიმუშით გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ნიმუშის როგორც მხატვრული, ასევე ტექნიკურ ესკიზები;

ბ) მოდელის ტექნიკურ ესკიზში გამოსახული უნდა იყოს წინა კალთა და ზურგი (დანართი №5.);

გ) მითითებული უნდა იყოს ნაწარმი და მისი ცალკეული ნაწილების დასახელება;

დ) მითითებული უნდა იქნეს ნაწარმის დანიშნულება: საერთო, მიზნობრივი, სეზონური, ქალი/მამაკაცის;

ე) განსაზღვრული უნდა იყოს მოდელში გამოყენებული მასალების ზოგადი ტექნიკური აღწერილობა;

ვ) გათვალისწინებული უნდა იქნას უახლესი სამხედრო მემკვიდრეობითი ტრადიციები;

ზ) ასახული უნდა იქნეს გამოსაყენებელი ქსოვილის ფერების კოდები.

2. ესკიზის შესრულება დასაშვებია ნებისმიერი მხატვრული და გამომსახველობითი საშუალებით (მათ შორის, კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით).

შენიშვნა:

ა) ტექნიკური ესკიზი წარმოადგენს დიზაინის ვიზუალური კომუნიკაციის მთავარ ელემენტს, რომელშიც მაქსიმალური სიზუსტით გამოისახება მოდელის ფორმა, პროპორცია, კონსტრუქციული და დეკორატიული ხაზები და სხვა დეტალები;

ბ) კონკურსთან დაკავშირებულ ყველა დამატებით საკითხზე ინფორმაციის მიღებისათვის კონკურსანტს შეუძლია მიმართოს კონკურსის კოორდინატორს ვიცე-პოლკოვნიკ კობა მიქელაძეს (მობ: 591 55 07 99).

დანართი №2

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

სახელი, გვარი / დასახელება

მისამართი / ადგილსამყოფელი

პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო ნომერი

ტელეფონი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გავეცანი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.mod.gov.ge) და facebook-ის გვერდზე (www.facebook.com/mod.gov.ge) განთავსებულ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის --- -----№--- ბრძანებას „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმის ტანსაცმლის საუკეთესო ესკიზის ნიმუშის შემუშავებისა და გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარების თაობაზე“.

თანახმა ვარ ბრძანებაში მითითებული პირობებით მონაწილეობა მივიღო საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმის ტანსაცმლის საუკეთესო ესკიზის ნიმუშის შემუშავებისა და გამოვლენის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში.

წარმოგიდგინთ ჩემს საკონკურსო ნამუშევრებს, რომლებზეც ამავდროულად არ ვრცელდება მესამე პირების საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები.

დანართი:

კონვერტი №1 (დალუქული სახით).

კონვერტი №2 (დალუქული სახით).

ხელის მოწერა

თარიღი

დანართი №3

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმის ტანსაცმლის საუკეთესო ესკიზის ნიმუშის შერჩევის კონკურსი

საზოგადოების შეფასების ფორმა

კომპლექტი №1 შეფასების კრიტერიუმი	მინიჭებული ქულა 1-დან 10-ის ჩათვლით
სამხედრო ტრადიციებთან შესაბამისობა	
სამხედრო სამსახურის მოთხოვნებთან შესაბამისობა	
მხატვრულად დახვეწილობა	
	ქულათა საერთო ჯამი -----

კომპლექტი №2 შეფასების კრიტერიუმი	მინიჭებული ქულა 1-დან 10-ის ჩათვლით
სამხედრო ტრადიციებთან შესაბამისობა	
სამხედრო სამსახურის მოთხოვნებთან შესაბამისობა	
მხატვრულად დახვეწილობა	
	ქულათა საერთო ჯამი -----

დანართი №4

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმის ტანსაცმლის საუკეთესო
ესკიზის ნიმუშის გამოვლენის კომისიის წევრის

შეფასების ფორმა

საკონკურსო ნამუშევრისათვის-----

კომპლექტი №1 შეფასების კრიტერიუმი	მინიჭებული ქულა 1-დან 10-ის ჩათვლით
სამხედრო ტრადიციებთან შესაბამისობა	
სამხედრო სამსახურის მოთხოვნებთან შესაბამისობა	
მხატვრულად დახვეწილობა	

სერიული წარმოების შესაძლებლობა	
	ქულათა საერთო ჯამი -----

კომპლექტი №2 შეფასების კრიტერიუმი	მინიმალური ქულა 1-დან 10-ის ჩათვლით
სამხედრო ტრადიციებთან შესაბამისობა	
სამხედრო სამსახურის მოთხოვნებთან შესაბამისობა	
მხატვრულად დახვეწილობა	
სერიული წარმოების შესაძლებლობა	
	ქულათა საერთო ჯამი -----

კომისიის წევრის სახელი, გვარი -----

თარიღი-----



